

ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების თაობაზე

1. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

1. კომიტეტის მიერ დადებითად ფასდება ბიუჯეტის მზარდი დინამიკა, საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა მიუთითებს რეგიონის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის გადასახდელების 70 %-მდე ასიგნებები მიემართება კაპიტალური პროექტების დაფინანსებაზე რაც თავისთავად ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელია.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივად მიმართული იქნება სამომავლოდ მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით მსხვილი კაპიტალური პროექტების დაფინანსებისათვის.

2. კომიტეტის მოსაზრებით შემოსულობების ნაწილში, არაფინანსური აქტივების კლების მუხლი ზედმეტად ოპტიმისტურადაა დაგეგმილი, ამაზე მეტყველებს ამ მუხლის შეუსრულებლობა როგორც 2021 წლის ბიუჯეტში (გეგმა 89 მლნ ლარი, ფაქტი 22,2 მლნ ლარი), ასევე 2022 წლის 9 თვის შესრულება (გეგმა 98,7 მლნ ლარი, ფაქტი 13,5 მლნ ლარი). ვფიქრობთ აღნიშნული მუხლის დაგეგმვას ჭირდება საფუძვლიანი ანალიზი, 2021 წლის და მიმდინარე წლის ბიუჯეტებში შეუსრულებლობის მიზეზების და შემდეგი გარემოებების კვლევა: რამდენად შეესაბამებოდა სააუქციონო პირობები ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, რამდენად ადეკვატურად იყო განსაზღვრული ქონების საბაზრო ღირებულება, რამდენად ისარგებლა სამინისტრომ დისკრეციული უფლებით არშემდგარი აუქციონის შემდეგ საპრივატიზაციო ქონების ფასების დაწევით, განახევრებით, რამდენად სწორად იყო გამოიყენებული ფისკალური და ეკონომიკური ეფექტები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, ქონების საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის“ მიხედვით, კერძოდ, არანაკლებ ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ღირებულებისა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ისარგებლა რა დისკრეციული უფლებამოსილებით, გამართა არაერთი აუქციონი საპრივატიზებო ქონების ფასების დაწვევით, თუმცა რიგი ქონების მიმართ, განმეორებით აუქციონზე გატანის შემთხვევაში, არ განხორციელდა ფასდაკლება, ვინაიდან ასეთი ქონება წარმოადგენს მოთხოვნად ობიექტებს, რომელთა შეძენის მიზნით, უწყებაში წარმოდგენილია სხვადასხვა პირის მრავალი განაცხადი და ამ ქონების საპრივატიზებო საფასური, სამინისტროს მოკვლევის მიხედვით, რეალურად შეესაბამება საბაზრო ღირებულებას;

სააუქციონო პირობების განსაზღვრისას, სამინისტრო ხელმძღვანელობს სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის ქონების მდებარეობით, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის განვითარების აუცილებლობით და ა.შ.

ამდგავარად, მთის კურორტზე და ზღვისპირა ზოლში მდებარე ქონების საპრივატიზებო პირობები თავსებადია ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან, სამრეწველო ზონაში მდებარე საპრივატიზებო ქონებისათვის კი დადგენილია სამეწარმეო საქმიანობისათვის მორგებული ობიექტების პირობები. თუმცა აღსანიშნავია, რომ რიგი ქონების მიმართ განისაზღვრა ზოგადი სააუქციონო პირობები ქონების მდებარეობის ფუნქციური ზონის გათვალისწინებით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით;

არშემდგარ აუქციონებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საპრივატიზებო ქონების ნაწილი თვითნებურადაა დაკავებული მესამე პირების მიერ, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის ინვესტორს ასეთი ქონების შეძენის შემთხვევაში საპრივატიზებო პირობების დროულად და ჯეროვნად შესრულების კუთხით. ამ შემთხვევაში ინვესტორს დამატებითი ხარჯი ემატება სანქციების და/ან თვითნებურად დამკავებლის დაკმაყოფილების ხარჯების სახით.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის 70%-მდე სახსრები მიმართულია კაპიტალური პროექტების დაფინანსებაზე. ამასთან, აღნიშნული პროექტების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდი დინამიკით ხასიათდება. კომიტეტის მოსაზრებით კაპიტალური პროექტების ადმინისტრირება, მართვა, შესრულება მოითხოვს სპეციფიკურ პროფესიულ ცოდნას და მისი განმახორციელებელი უნდა იყოს უწყება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების მქონე სპეციალისტებისგან. მიზანშეწონილია შეიქმნას ცალკე უწყება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა კაპიტალური პროექტის მართვას და განხორციელებას რესპუბლიკური ბიუჯეტის მამტაბით. ვფიქრობთ, ასეთი უწყება უფრო ეფექტიანად, მოქნილად უპასუხებს რეგიონის წინაშე არსებულ ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მართვის გაუმჯობესების მიზნით შესაძლებლად მიიჩნევს განიხილოს საკითხი რეგიონში ინფრასტრუქტურული (კაპიტალური პროექტები) პროექტების მართვის ერთიანი სტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით

4. წინა საბიუჯეტო წლებში ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, რომელთა საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ იყო მზად საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, პროექტის შესყიდვა განხორციელდა მიმდინარე წელს, ეს თავისთავად ზრდის რისკს ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისა, რადგან შესყიდვის პროცედურები მოითხოვს გარკვეულ ვადებს, შესაბამისად მიზანშეწონილია ბიუჯეტში, (განსაკუთრებული სპეციფიკის ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, რომელთა წინასწარ დაპროექტება შეუძლებელია) არ მოხდეს ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, რომელთა პროექტებიც არ იქნება მზად საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

წინა წლებში მიღებული გამოცდილებებისა და შეფასებების საფუძველზე ბოლო პერიოდში ინფრასტრუქტურულ ღონისძიებების ძირითადი ნაწილი შესაძლებლობების ფარგლებში ძირითადად იგეგმება შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, წინა წლებში დაგეგმილი და რეალიზებული ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შეფასების საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნა განსახორციელებელი პროექტებისათვის წინასწარ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების პრაქტიკა, თუმცა აღნიშნულ პროცედურის თანმხვედრ საკითხად წამოიწია წინა წელს დამუშავებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის გადაანგარიშების საკითხი, ბაზარზე არსებული არასტაბილური ფასწარმოქმნის მდგომარეობის გამო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა ხდება წინა საბიუჯეტო წელს, ხოლო ელექტრონული ტენდერის გამოცხადება მშენებლობა/რეაბილიტაციაზე - შემდეგ საბიუჯეტო წელს. არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება ჩვენი მხრიდან მოითხოვს სწრაფ ჩარევას და შესაბამისად, პროექტის შესყიდვაც და მშენებლობა/რეაბილიტაციაც დაგეგმილია ერთ და იმავე საბიუჯეტო წელს. რიგ შემთხვევებში გრძელდება მშენებლობის ნებართვების მოპოვების პროცესი, რაც ხელს უშლის პროექტების დროულ განხორციელებას. შესაბამისად, აღნიშნული რისკების წინასწარ გათვლა შეუძლებელია. თუმცა ქვეპროგრამა საკმაოდ მოქნილია საბიუჯეტო სახსრების ათვისების კუთხით, რადგანაც შესაძლებელია მრავალწლიან პროექტზე თანხის რესურსი გამოყენებული იქნეს ამავე ქვეპროგრამის სხვა პროექტზე.

5. როგორც გასული საბიუჯეტო წლის, ასევე მიმდინარე წლის 9 თვის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით ინფრასტრუქტურული პროექტების აუთვისებლობის მიზეზად სახელდება სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორი (არშემდგარი ტენდერი, უამინდობა, ინფრასტრუქტურული სამუშაოების გადაკვეთა, რომელიც პროექტის მიმდინარეობას უშლის ხელს და ასე შემდეგ) კომიტეტის მოსაზრებით ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვის

დროს მაქსიმალურად უნდა მოხდეს რისკფაქტორების ანალიზი და გათვალისწინება რომ პროექტის განხორციელებას დამაბრკოლებელი გარემოებები არ შეექმნას.

ბოლო წლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების უმეტესი ნაწილის განხორციელება ხდება აჭარის მაღალმთიან რეგიონში, სადაც სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე და შეფერხებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უამინდობა (შემოდგომის ნაადრევი თოვლი). მიღებული გამოცდილების საფუძველზე დაგეგმილ პროექტების შესრულების ვადის განსაზღვრისას კონტრაქტორ საპროექტო ორგანიზაციებს მიეწოდება ინფორმაცია რთული კლიმატური გარემოს გათვალისწინების შესახებ, რომელიც ასახულ უნდა იქნას მშენებლობის ორგანიზების პროექტის გეგმა-გრაფიკის შედგენისას, რომლითაც დადგენილი ვადები გადატანილი იქნება სატენდერო წინადადებაში. ხშირ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტი ტექნიკურად სპეციფიკურ ობიექტს წარმოადგენს, რომლის განმახორციელებელი კომპანიები სუსტადაა წარმოდგენილი ადგილობრივ ბაზარზე, რის გამოც ადგილი აქვს სატენდერო პროცედურის არ შედგენას. აქვე აღსანიშნავია, რომ რეგიონისათვის მნიშვნელოვანი საინჟინრო-კომუნალური ქსელების (მაგალითად: ხულო ზარზმის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება) განხორციელებისას ტექნიკური ხასიათის შემაფრხველები გარემოებების გამო ადგილი აქვს პროექტების მიმდინარეობის გრაფიკის შეჯერებას, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების ვადები ექვემდებარება ცვლილებებს.

6. კომიტეტის მოსაზრებით ისეთი პროგრამები, რომლებიც ვერ შესრულდა წინა წლებში საჭიროებს ძირულ ცვლილებას, არსებულ რეალობაზე მორგებას და სწორ მენეჯმენტს. (იხ.დანართი 1 ფურცელი).

ბიუჯეტის პროექტირებისას მაქსიმალურად ექცევა ყურადღება მიმდინარე წლის პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების მიმდინარეობას. რეკომენდაციას გავითვალისწინებთ დამატებით.

აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება მოიცავს რამოდენიმე მიმართულებით დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განხორციელებას. მათი რიგითობისა და პრიორიტეტულობის დარღვევის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საკითხია სარეკრეაციო სივრცეებისადმი საინვესტიციო მიზიდულობის გაზრდის ხელშეწყობა. წინა წლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგზე ორიენტულობის უზრუნველსაყოფად, განხორციელების ახლად განხილვისას, ფასდება მათი პრიორიტეტულობა ახალი რეალობების გათვალისწინებით.

05 03 03 საჯარო სკოლების მატერიალური ბაზების გაუმჯობესება - აღნიშნული ქვეპროგრამის ბიუჯეტის ძირითადი მოცულობა მოდის სასკოლო მერხებისა და სკამების შეყიდვაზე. წინა წელს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებელმა ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, რის გამოც ხელშეკრულება შეწყდა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლების რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროება ახალი სასკოლო ინვენტარი, დიდია და ეს საჭიროება ყოველწლიურად იზრდება. შესაბამისად, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში თანხა განისაზღვრა მოთხოვნების შესაბამისად;

05 14 01 კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა და 05 14 08 კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა -

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020-2021 წლებში COVID-19 ოფიციალურად გამოცხადდა პანდემიად და შემუშავდა რეკომენდაციები კორონავირუსის გავრცელების აღსაკვეთად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის ხალხმრავალ შეკრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შეწყვეტასთან ან/და განსაზღვრული რეგულაციების დაცვის პირობებში განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიცირებით პროგრამის - „კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა“ - ქვეპროგრამების - „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება“ და „ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა“ - ფარგლებში განხორციელდა საგრანტო კონკურსები, გამოვლენილი გამარჯვებული პროექტები დაფინანსდა საგრანტო წესით და ხელი შეეწყო კულტურის ღონისძიებების განხორციელებას განსაზღვრული რეგულაციების დაცვის პირობებში. ასევე, პროგრამის - „კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ - ფარგლებში ხელი შეეწყო ხელოვანთა მონაწილეობას კულტურის ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო ხალხმრავალ შეკრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შეწყვეტის ან/და განსაზღვრული რეგულაციების დაცვის პირობებში განხორციელების შესახებ რეკომენდაციის, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით, მომართვიანობა პროგრამების ფარგლებში პროექტების დაფინანსების შესახებ გახლდათ დაბალი, რამაც გამოიწვია ქვეპროგრამების შესრულების დაბალი პროცენტულობა, რაც წელს იქნება აღმოფხვრილი და შესაბამისად, პროგრამების შესრულების პროცენტულობის მაჩვენებელი იქნება მაღალი. ამასთანავე, ქალთა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით 2021 წელს პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გათვალისწინებული გახლდათ მათი ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რეწვის ქალ ოსტატთა საქმიანობის პოპულარიზაცია და მემთეურ ქალებში კულტურის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე, აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დაფინანსდა ინკლუზიური და ინტეგრირებული 6 პროექტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები გენდერულ კრილში თანაბრად ხელმისაწვდომია ბენეფიციარებისთვის 2022-2023 წლებშიც.

05 18 ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 05 18 02 არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა - ქვეპროგრამა - გართობა და შემეცნება (საბიუჯეტო კოდი 05 18 02 02) 05 18 03 ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა - 05 18 03 01 კონფერენციები და ფორუმები - 05 18 04 კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა - 05 18 04 02 ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა - 05 18 05 01 ინტელექტუალური თამაშები - მოგახსენებთ, სსიპ ახალგაზრდობის რეგონული ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში ქვეპროგრამების „გართობა და შემეცნება“, „კონფერენციები და ფორუმები“, „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ და „ინტელექტუალური თამაშები“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები სრულად იქნა განხორციელებული. კერძოდ, მე-4 კვარტლის მდგომარეობით აღნიშნული პროგრამების მოსალოდნელი შესრულება შეადგენს: პროგრამა - გართობა და

შემეცნება - 98 % შესრულება; კონფერენციები და ფორუმები - 99,7 %; ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა - 90%; ინტელექტუალური თამაშები - 99,7 %;

რაც შეეხება 2021 წელს, ზემოაღნიშნული ქვეპროგრამების ნაწილობრივი შესრულება გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო. კერძოდ, საქართველოს მთავრობის N 181 დადგენილების (საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ) მე-4 მუხლის საფუძველზე იკრძალებოდა ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეში, მათ შორის, კონცერტები, სპექტაკლები, დროებითი და მუდმივი გამოფენები, რეპეტიციები, გასტროლები, მასტერკლასები, ტრენინგები და კონფერენციები, გარდა დისტანციური ფორმისა. იქედან გამომდინარე, რომ ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების უმრავლესობა მოიცავდა კულტურული და საბანაკე ტიპის აქტივობებს, ამასთანავე ითვალისწინებდა მასობრივ თავშეყრას ღია და დახურულ სივრცეში, ვერ იქნა განხორციელებული იმ დროისთვის არსებული რეგულაციების გამო.

7. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტს წარედგინა „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი სადაც გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების 10 % მდე ზრდა. შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში მოხდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გადაანგარიშება.

გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში.

2. აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი

1. 07.14 - სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. გაიზარდოს პროგრამის დაფინანსება.

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა 2023 წლის დაგეგმილი პროგრამით ერთიანდება ერთ პროგრამაში. შესაბამისად, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯი მცირდება, ხოლო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსით გაზრდილია უშუალოდ პროექტების/განაცხადების თანადაფინანსება, რაც თავის მხრივ მეტი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას ქმნის.

2. 07.13 - სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია. გაიზარდოს პროგრამის დაფინანსება.

მელიორაციის მიმართულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის სამინისტროს შესყიდული აქვს 612 888 ლარის 10 088 გრძივი მეტრი სარწყავი წყლის ფოლადისა და პოლიეთილენის მილები, რომელიც გამოყენებული იქნება 2023 წელს განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის. შესაბამისად, სამელიორაციო არხებზე განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯი სარწყავი წყლის მილების ღირებულებით (612 888 ლარი) მცირდება, რაც გამოყენებული იქნება მეტი რაოდენობის სარწყავი სისტემების სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის. ასევე, გარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, პროგრამის ფარგლებში, დამატებით გათვალისწინებულია სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვა, რაც ზრდის პროგრამის შედეგზე ორიენტირებულობას

3. 07.05.05- ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა. გაიზარდოს ქვეპროგრამის დაფინანსება.

პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამით „ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა“ 2023 წელში გათვალისწინებულია აგრარული სექტორის ორი ძირითადი საჭიროების მხარდაჭერა - აგროსექტორში 1) კერძო ინვესტიციებისა და 2) დონორთა დახმარებების მოზიდვა. ამ მიზნით, წინა წლებში სამინისტრო ორგანიზებას უწევდა ორ საერთაშორისო ღონისძიებას - აგრარულ ფორუმს და დონორთა კონფერენციას. აგრარული ფორუმი ემსახურება აგროსექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას, ადგილობრივად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და მათი საერთაშორისო ცნობადობის ზრდას. მეორე ღონისძიება - დონორთა კონფერენცია მიზნად ისახავს დონორთა დახმარებების (გრანტების) მოზიდვის ხელშეწყობას სამინისტროსთვის და აგრარულ სექტორში მოქმედი კერძო სუბიექტებისთვის. აგროსექტორის ამ ორი ტიპის საჭიროების საპასუხოდ, ტარდება 2 საერთაშორისო ღონისძიება, რომელთა ორგანიზების ხარჯი გასული და მიმდინარე წლის გამოცდილებით, არ აღემატება 50 000 ლარს (ჯამურად). მეორეს მხრივ, ორი ღონისძიება სრულად სავარაუდოა ორივე საჭიროების დაინტერესებულ მხარეებთან გაყდერებისთვის. გარდა ამისა, კალენდარული წლის განმავლობაში სამინისტროს ხელმძღვანელობა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები ინდივიდუალურ რეჟიმშიც ხვდებიან პოტენციურ ინვესტორებსა და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ზემოაღნიშნული საჭიროებების განსახილველად, სწორედ ამიტომ, დამატებითი ღონისძიებების (ფორუმები, კონფერენციები და ა.შ.) ორგანიზებისა და შესაბამისად, გაზრდილი დაფინანსების საჭიროება მიმდინარე ეტაპზე არ არის.

3. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

1. მართალია, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ხარჯი საჯარო სკოლებში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის, მაგრამ კარგი იქნება თანხების დამატება გრანტების გამოსაყოფად წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით - საგრანტო კონკურსის მკითხველთა კლუბის შექმნისთვის, რომელიც ასევე მოიცავს საუკეთესო ბიბლიოთეკარების გამოვლენას, წახალისებას მათი მოტივაციისთვის.

აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის პროგრამის „ზოგადი განათლება“ ქვეპროგრამაში „კონკურსები და ოლიმპიადები“ - სასკოლო ბიბლიოთეკების და დაწყებით საფეხურზე წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს ბიბლიოთეკების 20 სკოლის ინიციატივას თანხით 50 000 ლარი. გამარჯვებული პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია.

2. *სასურველია, გამოიყოს თანხები ათლექტიზმის ფედერაციის დასაფინანსებლად.*

სპორტის დეპარტამენტს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ქვეპროგრამა „პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა“ გათვალისწინებული აქვს - აჭარის ათლექტიზმის ფედერაციის დაფინანსება თანხით 20 000 ლარი.

4. საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რეზოლუციით შემოსულია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი (№01-27/21, 04.11.2022). აღნიშნული წერილით უსკოს თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს თხოვს, რომ 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის განხილვის პროცესში გათვალისწინებული იქნეს უსკოსთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის საკითხი. კერძოდ, უსკოს საკუთრებაში არსებული შენობის (მისამართი: ხახულის ქ N2, ფართობი 212,3 კვ.მ) კაპიტალური რემონტისა (იატაკის და ჭერის შეკეთება, სახურავის გადახურვა, კედლების მოპირკეთება) და ახალ ელექტრონულ საშუალებებზე გადასვლასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის წარმოებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტში უსკოსთვის გათვალისწინებული იქნეს დამატებით 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ასიგნება გაზრდილია 600 000 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდება საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების და პოტენციური საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გადამზადებაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩატარებისთვის, არჩევნებში ჩართული მხარეების და ამომრჩევლებისთვის სასწავლო-საინფორმაციო პროექტების განხორციელებისათვის, საარჩევნო პროცესისადმი ახალგაზრდების დაინტერესებისათვის წამახალისებელი ღონისძიებების ჩატარებისათვის. ახალ ელექტრონულ საშუალებებზე გადასვლასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის წარმოების.

ასევე, არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ელექტრონული მოწყობილობების უსაფრთხო შენახვისათვის უსკოს საკუთრებაში არსებული სასაწყობო შენობის კაპიტალური

სარემონტო სამუშაოებისათვის.

რეკომენდაციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობისათვის „სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად გაითვალისწინებს გენდერულ ინდიკატორს - „საბიუჯეტო განაცხადი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით“, მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება 2023 და მომდევნო წლების ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერისთვის პირველად წარმოებასთან ერთად საჭიროა განვითარდეს შემნახველ-გადამამუშავებელი საქმიანობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პროექტების/ განაცხადების თანადაფინანსება (სუბსიდირება). პროგრამის პრიორიტეტებია: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეწარმე სუბიექტების განვითარების ხელშეწყობა, ქალთა მიერ წარმოდგენილი პროექტების, შშმ პირთა მიერ წარმოდგენილი პროექტების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის მიმართულების პროექტების/განაცხადების მხარდაჭერა. აღნიშნული ფორმულირებულია პროგრამის აღწერით ნაწილში. ამასთან, პროგრამის განხორციელების წესით განსაზღვრული კრიტერიუმებით, ბენეფიციართა შერჩევის პროცესში უპირატესობა მიენიჭება ქალების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს. პროგრამის განხორციელების პროცესში ქალთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საოჯახო მეურნეობების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის მესაკუთრეებად ქალების შედარებით ნაკლები რაოდენობა წარმოადგენს. ამასთან, პროგრამაში ჩართვისთვის მიწაზე საკუთრება აუცილებელი პირობაა. ამ მიზნით, ბენეფიციართა შერჩევის პროცესში ქალი განმცხადებლებისათვის უპირატესობის მინიჭება გაზრდის საოჯახო მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების მესაკუთრეებად/თანამესაკუთრეებად ქალების რეგისტრაციის მოტივაციას, რაც თავის მხრივ ქალების მეტ ჩართულობას განაპირობებს და ხელს შეუწყობს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის რეკომენდაცია გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023-2026 წლების პროგრამის პროექტში - ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის მქონე დედათა და

ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ სათაურის ნაწილში შეტანილია ცვლილება შემდეგი სახით: „შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება“.